Turnitin-ის პროგრამაში ატვირთული ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში ხელნაწერის უფლებით დაცული ნაშრომის: „სტრუქტურული რეფორმები უმაღლეს განათლებაში და საქართველოს კერძო უმაღლესი სასწავლებლების განვითარების ტენდენციები“ (დის...13.0.01 / თბილ. სახ. პედ. უნ-ტი; ავტორი: გიორგი შარვაშიძე, საგამომცემლო თბ., 2003, საარქივო ფონდი: D 8.277) ანგარიშის (Submission ID: 1223358199) შემოწმების შესახებ

05.12.19

გავეცანით ნანა მამაგულიშვილის (თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის) მიერ Turnitin-ში ატვირთულ, ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში ხელნაწერის უფლებით დაცული ნაშრომის: *„სტრუქტურული რეფორმები უმაღლეს განათლებაში და საქართველოს კერძო უმაღლესი სასწავლებლების განვითარების ტენდენციები“ (დის...13.0.01 / თბილ. სახ. პედ. უნ-ტი; ავტორი: გიორგი შარვაშიძე, საგამომცემლოთბ., 2003, საარქივო ფონდი: D 8.277)* ანგარიშს (**Submission ID:** 1223358199).

Turnitin-მა გამოავლინა (originality report - ფორმით) 8%-იანი მსგავსება და მითითება გააკეთა საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდსა (https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/41236(26.05.2017)?publication=0) და www.forum.rustavi2.com ვებ-გვერდზე განთავსებულ ინფორმაციასთან (რომლის URL მიმდინარედ ხელმისაწვდომი არაა, თუმცა, იძებნება Turnitin-ის მონაცემთა არსებულ ბაზაში, სახელწოდებით „განმარტებითი ბარათი“).

ტექსტის მსგავსების შინაარსი ძირითადად წარმოადგენს საქართველოში უმაღლესი განათლების განვითარების ტენდენციების მიმოხილვას; საგანმანათლებლო სისტემასთან დაკავშირებული პროცესების დეტალურ აღწერას; უმაღლესი განათლების შესახებ კანონპროექტის ძირითად პრინციპებს და ტერმინების განმარტებას; ქართველ და ევროპელ ექსპერტთა სამუშაო ჯგუფის წევრების სრულ ჩამონათვალს; პროცესში მონაწილე საგანმანათლებლო

დაწესებულებების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სახელმწიფო და სხვა ინსტიტუციების, პროცესში მონაწილე პირების ჩამონათვალს.

აქედან გამომდინარე, პროგრამა Turnitin-ის მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით წარმოდგენილი ანგარიშით (originality report-ფორმით) გამოვლენილი 8% მსგავსება არ მიგვაჩნია სხვისი შემოქმედების მითვისება-პლაგიატად, ვინაიდან პროგრამით გამოვლენილი ხელმისაწვდომი მასალის თანხვედრის (match) ძირითადი ნაწილი იურიდიული ხასიათის დოკუმენტებს, მათ შორის პარლამენტის დადგენილებასა და განმარტებით ბარათს, წარმოადგენს.

დოქტორი, ირმა გრძელიძე
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის
ხელმძღვანელი, თსუ

პროფესორი, დოქტორი, ქეთევან ხუციშვილი
სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, თსუ

პროფესორი, დოქტორი, ირინე ქურდაძე
აკადემიური საბჭოს წევრი, საერთაშორისო
სამართლის ინსტიტუტის დირექტორი
იურიდიული ფაკულტეტი, თსუ

ასოცირებული პროფესორი, დოქტორი, რუსუდან სანაძე
აკადემიური საბჭოს წევრი,
ფსიქოლოგიისა და განათლების
მეცნიერებათა ფაკულტეტი, თსუ